# დედების დამოკიდებულება იმუნიზაციის ეროვნულ კალენდარში შემავალი პროფილაქტიკური აცრების შესახებ საქართველოში

ანა გულუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის ჯანდაცვის მენეჯმენტში მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი : მოწვეული პედაგოგი ქეთევან გოგინაშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2022 წელი**

*„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*ანა გულუა*



*29.06.2022*

# აბსტრაქტი

იმუნიზაცია წარმოადგენს ინფექციური დაავადებების პრევენციის საუკეთესო გზას. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებდნენ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის საქართველოში, როდესაც 1772 წელს ერეკლე მეორის ბრძანებით ასზე მეტი ბავშვი აცრეს ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინით, მათ შორის უფლისწული იულონიც. (სამყურაშვილი & გოგონაია, 2021)

ამჟამად ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, თუმცა მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნული პროგრამა დგას მთელი რიგი გამოწვევების წინაშე, ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება რუტინული ვაქცინაციით მოცვის 95% -იანი მაჩვენებლის შენარჩუნება. ხოლო ამ უკანასკნელზე პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობისა და განსაკუთრებით მშობლების ინფორმირებულობა.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო და განამტკიცა ჰიპოთეზა, რომ სწორედ დეზინფორმაცია, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული არასწორი წარმოდგენები და მითები, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ და ზრდიან გვერდითი მოვლენების შიშს არის ვაქცინაციაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზი. გარდა ზემოხსენებულისა, არანაკლებ დიდ გამოწვევად რჩება სახელმწიფოს მხრიდან იმუნიზაციის ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო კამპანიებზე მეტი აქცენტების გაკეთება. ასევე, იმუნიზაციის სისტემის მარეგულირებელი მექანიზმის სრულფასოვანი ფუნქციონირება. მოცემული თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს დააზუსტოს დედების დამოკიდებულება პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში შემავალი ვაქცინების მიმართ, ამასთანავე გამოავლინოს აღნიშნული მიმართულებით არსებული ტენდენციები და მათი გამომწვევი ფაქტორები. კვლევა ჩატარდა დედაქალაქსა და რეგიონში, კერძოდ ზუგდიდში და მასში მშობლებთან ერთად ჩაერთნენ პედიატრები. კვლევის მიგნებები კი საშუალებას იძლევა, შემუშავდეს საკითხთან მიმართებით არსებული ბარიერების დასაძლევი რელევანტური და ეფექტური გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები :  იმუნიზაცია, გვერდითი მოვლენები, ინფორმირებულობა, მოცვის მაჩვენებელი, სავალდებულო იმუნიზაცია.

# Abstract

Immunization is the best way to prevent infectious diseases. Georgians shared this view in 18th century, when in 1772, by order of Erekle II, more than a hundred children were vaccinated with the flower vaccine, including Prince Yulon.

Nowadays the state program of immunization is successfully functioning in the country. However, despite the positive tendency, the program has some challenges, one of them is to maintain a 95% coverage rate with routine vaccination, which is influenced by the awareness of the population and especially parents. The study confirmed the hypothesis that misinformation, "ugly" notions and myths, that cause and increase the fear of side effects are the main reasons for refusing vaccination. Also a big challenge is raising awareness of immunization by the state and focusing on information campaigns.

This qualitative research aims to explore and analyze attitude of mothers about vaccines included in the national prophylactic vaccination calendar and identify the existing tendencies and their causal factors. For this purpose, mothers and pediatricians in Tbilisi and Zugdidi were interviewed. The findings of the research makes it possible to find relevant and effective ways overcome existing barriers.

Keywords: Immunization, Side Effects, Awareness, Coverage Rate, Mandatory Immunization.